



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
10 ივნისი, 12 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი:
24 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მშენებლობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - მშენებლობის ინჟინერია; 0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული. აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის N 425 გადაწყვეტილებით

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, თსუ (მოწვეული ლექტორი), გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
 საბაკალავრო პროგრამის „მშენებლობა“ მიზანია ზოგადსაინჟინრო და სპეციალურ დისციპლინებში საბაზისო ცოდნის შეძენის საფუძველზე მშენებლობის ბაკალავრს მისცეს კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირების და მშენებლობის პროცესში შუალედური რგოლის სპეციალისტის ფუნქციების შესასრულებლად. სამშენებლო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კრიტიკულად გაიაზროს და საქმიანობაში გამოიყენოს დარგის უახლესი ტექნოლოგიები, ეკონომიკური ტენდენციები და ღირებულებები. პროგრამა არის მოქმედი საბაკალავრო პროგრამის „მშენებლობა“ მოდერნიზებული ვერსია. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის და ტრანსპორტის“ დეპარტამენტში, პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი; ერთი სემესტრი 15 კვირა. ერთი კრედიტი -25 ასტრონომიული საათი, სულ 6000 სთ; პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ქვეყნისა და რეგიონის წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში, სტუდენტთა მიერ პრაქტიკების და სტაჟირების გავლაში, სასწავლო პროცესის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაში.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 და 12 ივნისი, (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის MES 0210000532048 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2021 წლის 9 ივნის, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება. 2021 წლის 10 ივნის ონლაინ ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; მშენებლობის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. 12 ივნის განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - 1.1. პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- 2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- 4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;.
- 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- 5.1. შიდა ხარისხის შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდაცია 1 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..1): დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები და შესაბამისი კომპეტენციის ზღვრები ასეთის არსებობის შემთხვევაში
- რეკომენდაცია 2 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..2): თავისუფალი კრედიტების ბლოკიდან, სასწავლო კურსები: აკადემიური წერა, გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება, და ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული), გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში. და ასევე უნდა გასწორდეს სასწავლო გეგმაში კრედიტების საერთო ჯამი;
- რეკომენდაცია 3 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..3): სასწავლო კურსები („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.
- რეკომენდაცია 4 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..4): პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად.
- რეკომენდაცია 5 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..5) : სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
- რეკომენდაცია 6 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..5) : შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში;
- რეკომენდაცია 7 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 2..5): უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, სოკრატესული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება.
- რეკომენდაცია 8 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 4..2): უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და შენარჩუნებას, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების გაგრძელებას.
- რეკომენდაცია 9 (სტანდარტი2, ქვესტადარტი 5..1): პროგრამის დახვეწის მიზნით შიდა ხარისხის შემოწმებისას გამოთქმული ტექნიკური და შინაარსობრივი რეკომენდაციების გათვალისწინება.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. საგნის „შესავალი სპეციალობაში“ დასათაურების ფორმულირების შეცვლა;
2. სასწავლო კურსის „საშენი მასალები“ სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტი აქცენტების გაკეთება;
4. არჩევითი საგნების უფრო მეტად გაზრდა;
5. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ჯერ ასახსნელი თემა სათაურის სახით, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა;
6. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემცირება ისე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ მათი გაცნობა რეალისტური და მიღწევადი იყოს;
7. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.
8. სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართვისთვის მეტი რესურსის ჩადება;
9. პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობის გაგრძელება.
10. სწავლება-სწავლის მეთოდების დასათაურებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება-დაზუსტება.
11. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, მკაფიოდ გაიწეროს პროფესორისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის პირობების შესახებ ინფორმაცია.
12. სასურველია, გადაიხედოს სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი და ზოგიერთი მათგანი ჩანაცვლდეს უახლესი ლიტერატურით.
13. კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა.
14. პროფესორ-მასწავლებელთა გრადაციის განსაზღვრა, მათი კატეგორიების, უფლებამოსილებების, სამეცნიერო აქტივობებისა და შრომითი ურთიერთობების ინდივიდუალური ხასიათის გათვალისწინებით;
15. კარგი იქნება, შიდა კვლევების ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავებისთვის.
16. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობების ფარგლებში გაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობის მეტი უზრუნველყოფა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ არსებობა აკადემიური წერის მინიმალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და საბაკალავრო ნაშრომებზე გადასასვლელად ნიადაგის მომზადების მიზნით.
 - აკადემიური პერსონალის მიმართ წამახალისებელი ღონისძიებების, მათ შორის ფულადი ჯილდოს არსებობა ნაყოფიერი აკადემიური საქმიანობისთვის.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. ასევე პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახულ მიზნებს და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სამშენებლო-საინჟინრო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ჩაერთვებიან როგორც სამშენებლო ობიექტების პროექტირებაში ასევე უშუალოდ სამშენებლო მოედნებზე წარმოებულ სამუშაოებში. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტისთვის მშენებლობის დარგის ფართო თეორიული ცოდნის მიცემას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის აუცილებელი უნარჩვევების გამომუშავებას. ასევე საპროექტო და სამშენებლო წარმოებისათვის საჭირო ზოგადტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას, რათა მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრმა შეძლოს შუალედური რგოლის სპეციალისტის ფუნქციების შესრულება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირების და მშენებლობის პროცესში. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა

ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც მომავალ კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ მოქნილები და წარმატებულები მუდმივად ცვალებად საქმიან სამყაროში.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ შეინიშნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მზაობა, განახორციელონ ეფექტური აქტივობები რათა პროგრამა ორიენტირებული იყოს სამშენებლო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და გაითვალისწინოს როგორც წარსული გამოცდილება ასევე არ ჩამორჩეს თანამედროვე სიახლეებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია: <http://www.atsu.edu.ge/geo/misia.html> ;
- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა;
- კურიკულუმი;
- მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (დანართი 4-EP-QA 1.1.);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/> ;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის N41 დადგენილება „საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

- გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და დადგენილია მათი ლოგიკური ურთიერთკავშირი, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ნათლადაა ჩამოყალიბებული. კერძოდ, პროგრამას განსაზღვრული აქვს ძირითადი 8 სწავლის შედეგი:

1. ზოგადი და ზოგადტექნიკური ცოდნის გამოყენებით აანალიზებს სამშენებლო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის წარმოების, მართვის და ეკონომიკის, ნაგებობების ექსპლუატაციის, რემონტის საფუძვლების, ახალი ტექნოლოგიების თეორიულ და პრაქტიკულ მეთოდებს;
2. სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური შუალედური რგოლის ფუნქციების შესრულებისათვის შეუძლია საპროექტო, მშენებლობის წარმოების, ორგანიზაციის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.
3. საპროექტო, კვლევით და დაკვალვით სამუშაოებში იყენებს საჭირო ინსტრუმენტებს და უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
4. მშენებლობის პროექტირების პროცესში დამხმარე ფუნქციათა შესათავსებლად შეუძლია: საპროექტო, სამუშაოთა ორგანიზაციის, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების შერჩევა და ინსპექტირება;
5. ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის საფუძველზე მოიძევეს და ასაბუთებს პროექტირების და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ამოცანების გადაჭრის გზებს;
6. ნათლად გამოხატავს საკუთარ აზრებს ზოგად და პროფესიულ თემებზე პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში
7. ადარებს საკუთარი ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გეგმავს სწავლის გაგრძელების და ცოდნის გაღრმავების პროცესს
8. მშენებლობის ყველა სტადიაზე ითვისისწინებს პროფესიული ეთიკის, შრომის და გარემოს დაცვის, ენერგოეფექტურობის საკითხებს

რომლებსაც კურსდამთავრებულები იძიენენ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსების ათვისების შედეგად (189 კრედიტი, I- VIII სემესტრის ჩათვლით). წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს რომ, პროგრამის სტრუქტურა აგებულია, იმგვარად, რომ სტუდენტი თავიდან სწავლობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებს (საინჟინრო მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია) რაც სტუდენტებს აძლევთ შესაძლებლობას უკვე შეისწავლონ ბაზისური საინჟინრო საგნები (თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა, გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლები, სამშენებლო მექანიკა, საინჟინრო გრაფიკ და სხვა), რომლებიც თავის მხრივ სტუდენტებს უზვითარებენ საინჟინრო დარგში

ტრანსფერულ უნარებს და აძლევენ ინჟინერიის ფუნდამენტალურ ცოდნას. პარალელურად სტუდენტები სწავლობენ ეგრეთ წოდებულ „Preparation For Major“-ის სასწავლო კურსებს (საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა, მიკრო და მაკრო ეკონომიკა, შესავალი სპეციალობაში, და სხვა)

ასევე ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებში შედის მშენებლობის ინჟინერის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის საჭირო ძირითადი სასწავლო კურსები (საშენი მასალები, მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, მეწარმეობა მშენებლობაში, სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები, შრომის დაცვა მშენებლობაში, სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია და სხვა), პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიერ განსაზღვრული ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, სწავლის პერიოდში დაგეგმილი პრაქტიკული და სავლე სამუშაოები მნიშვნელოვან წილად განაპირობებს სტუდენტების ჩართულობას პროცესებში და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

სასწავლო პროგრამაში დამატებით მითითებულია კიდევ 11 სწავლის შედეგი (რომლებიც გადანაწილებულია 4 კონცენტრაციაზე), რომლის მიღწევაც ხორციელდება, არჩევითი კონცენტრაციებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების მეშვეობით - (21 კრედიტი დამამთავრებელი სემესტრების დროს, VII-VIII სემესტრი)

კონცენტრაციებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები აწვდიან და აღმაგებენ სტუდენტების ცოდნას სხვადასხვა ტიპის ობიექტების საინჟინრო დაპროექტების და სამშენებლო პროცესების დაგეგმვას და მართვის მიმართულებით. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფ კონცენტრაციების მიხედვით მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვა, შეფასება და ანალიზი, რაც თავის მხრივ ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს. პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსალოდნელი სწავლის შედეგები და გაწერილია მათი შეფასების მექანიზმები.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს მშენებლობის დარგის სპეციფიკას. დაწესებულებაში გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროცესში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. გარდა ამისა, პერმანენტულად ხდება შრომის ბაზრის ტენდენციების, დამსაქმებელთა მოთხოვნების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნების დაზუსტება და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა არსებულ მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	✓			

შესაბამისობა				
--------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „მშენებლობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას: ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შემთხვევაში.</p> <p>პროგრამის შინაარსიდან და სტრუქტურაშიდან გამომდინა, აღნიშნულ პროგრამაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი სავალდებულო საგნების ჩამონათვალში უნდა შედიოდეს მათემატიკა და ასევე განისაზღვროს თუნდაც მინიმალური ზრვარი არსებულ საგანში. უნივერსიტეტმა აღნიშნა რომ ამ პროგრამისთვის განსაზღვრულია მათემატიკის სავალდებულობა, თუმცა კურსკულუმში და არც უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ეს ინფორმაცია არ მოიპოვება შესაბამისად ექსპერტა ჯგუფს მიგვაჩნია რომ აუცილებელია დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები და შესაბამისი კომპეტენციის ზღვრები ასეთის არსებობის შემთხვევაში</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო პროგრამა • ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ • დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნები და შესაბამისი კომპეტენციის ზღვრები ასეთის არსებობის შემთხვევაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 ECTS კრედიტის მოცულობა არის 25 სთ). პროგრამის შემადგენელი კომპონენტები შემდეგი პრინციპითაა დალაგებული:

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად. მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი - 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები -189 კრედიტი (I- VIII სემესტრი)
- არჩევითი კონცენტრაცია - 21 კრედიტი (VII-VIII სემესტრი)
- თავისუფალი კრედიტები - 30 კრედიტი (II - VIII სემესტრი)

თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტის დაგროვება სტუდენტს შეუძლია უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან.

თავისუფალი კრედიტების ბლოკში აღმჩენილი იქნა ტექნიკური უზუსტობა, კერძოთ სასწავლო კურსები, აკადემიური წერა, გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება, და ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული), გახლავტ სავალდებულო კურსები და არა არჩევითი, შესაბამისად ეს კურსები გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში. ასევე „სასავლო გეგმაში“ არის ტექნიკური ხარვეზი გაპარული, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების საერთო ჯამი არის შეცდომით მითითებული 104 ნაცვლად უნდა იყოს მითითებული 189.

ზემოთ მითითებული ტექნიკური ხარვეზების მიღმა, საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექტაციით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. რაც შეეხება პროგრამის შინარსს, პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სემესრული გადანაწილება, შიგთავსი და თემატიკა უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო უნარების და ცოდნის გამომუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

- თავისუფალი კრედიტების ბლოკიდან, სასწავლო კურსები: აკადემიური წერა, გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება, და ტექნიკური ინგლისური ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული), გადატანილი უნდა იქნას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში. და ასევე უნდა გასწორდეს სასწავლო გეგმაში კრედიტების საერთო ჯამი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო დისციპლინების სილაბუსებით განსაზღვრული შინაარსი და შედეგები, ძირითადად, პასუხობს ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

მთლიანობაში სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, სასწავლო კურსის სპეციფიკურ თავისებურებებს, სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) კი - ამ კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და

სხვა სასწავლო მასალა, ძირითადად, შეესაბამება ამ დისციპლინების სწავლის შედეგებს. ასევე, სილაბუსებში მითითებულია მოცემულ სფეროში უახლესი კვლევები, რომლებიც პასუხობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა არის შემთხვევა, როცა ფიქსირდება მოძველებული ლიტერატურა. მაგალითად, საგნის „საშენი მასალები“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებულია მხოლოდ 1993, 1988 და 1990 წლებში გამოცემული ნაშრომები, რაც სრულფასოვნად ვერ იძლევა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი ცოდნის მიღებას.

სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგები არ გადის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე. სავარაუდოდ, ეს საგანი სწავლის ამ შედეგზე უნდა გადიოდეს. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სწორედ დამსაქმებელთა მოთხოვნაა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა.

ამასთან, არის გარკვეული დეტალები დასაზუსტებელი ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში. მაგალითად, სასწავლო კურსის „შესავალი სპეციალობაში“ სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს შვიდ ნაშრომს, რომელთა სრულად გაცნობა შესაძლოა, არარეალისტურად და რთულად მიღწევად ამოცანად ჩაითვალოს ბაკალავრიატის სტუდენტისთვის, მით უმეტეს, პირველკურსელისთვის. გარდა ამისა, გამოიკვეთა ამ საგნის სახელწოდების ფორმულირების დაზუსტების საჭიროება, რადგან ზოგადი ხასიათისაა და უშუალოდ სფეროს სპეციფიკას ვერ გამოხატავს. რაც შეეხება აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსს, ირკვევა, რომ დასაწყისში სამი კვირა ეძღვნება უნივერსიტეტის ისტორიას, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, სწავლის თავისებურებებს, ფაკულტეტის ისტორიას და სხვა, რომლებიც უფრო მეტად უნივერსიტეტში ჩაბარებამდე აბიტურიენტებთან გაცნობით-სააგიტაციო შეხვედრებზე განიხილება. უშუალოდ საგნის ფარგლებში განსახილველი საკითხები იწყება მეოთხე კვირიდან.

ამავე დროს, გასასწორებელია ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები საგნის „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ სილაბუსში. ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია პ. ტურავასა და კ. ყალიჩავას ნაშრომი „სამშენებლო სამართალი“, თუმცა გამოცემის წელი გამორჩენილია. ტექნიკური ხარვეზია გასასწორებელი სხვა საგნების სილაბუსებშიც. მაგალითად, სასწავლო კურსის „შესავალი სპეციალობაში“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ბ. ნამჩევანის 2018 წლის ნაშრომი, არადა აღინიშნა, რომ გვარი არის შეცდომით გათვალისწინებული და გასასწორებელია.

გარდა ამისა, ჩანს, რომ საგნის „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ სილაბუსის შინაარსის გარკვეული ნაწილი სცდება საგნის ფარგლებს და ძალიან ემსგავსება ბიზნესსამართლის საფუძვლების განსაზღვრულ ნაწილს. კერძოდ, ამ საგნის სილაბუსის პირველი და მეორე თემა ეხება ბიზნესის დაწყებას, შრომით უფლება-მოვალეობებს, ხოლო მესამე თემიდან იწყება მშენებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი. ასევე, ამ საგნის სილაბუსში გვხვდება საკითხები, როგორცაა კომპანიის წილის გასხვისება, საწარმოს ლიკვიდაცია და გაკოტრება, საბანკო სექტორი, საბაჟო კოდექსი, ფასიანი ქაღალდები და სხვა.

სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სალექციო თემის სათაურისა და მისი მოკლე სტრუქტურის გადმოცემის საჭიროება უფრო ნათელს გახდის სილაბუსების შინაარსში წარმოდგენილ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18);
- აწსუ ბიბლიოთეკა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსები („შესავალი სპეციალობაში“, „მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა“ და სხვა) შინაარსის შეცვლა საგნისთვის რელევანტური საკითხების წინა პლანზე წამოწევის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მეტი აქცენტების გაკეთება;
- საგნის „შესავალი სპეციალობაში“ დასათაურების ფორმულირების შეცვლა;
- სასწავლო კურსის „საშენი მასალები“ სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
- არჩევითი საგნების უფრო მეტად გაზრდა;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ჯერ ასახსნელი თემა სათაურის სახით, შემდეგ კი - მისი მოკლე სტრუქტურა;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის შემცირება ისე, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ მათი გაცნობა რეალისტური და მიღწევადი იყოს;
- სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, პროგრამის მიზანია საშუალო რგოლის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მშენებლობის ტექნოლოგიურ და მშენებლობის დაგეგმვისა და პროექტირების პროცესებში. სასწავლო პრაქტიკა მოიცავს მშენებლობის გეოდეზიური უზრუნველყოფის პრაქტიკულ შესწავლას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ტრადიციული თანამედროვე ბაკალავრების აქტიური მონაწილეობა საუნივერსიტეტო, საქალაქო, ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, სტუდენტურ კვლევებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მათ უვითარებს თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

შესწავლილი მასალიდან ირკვევა, რომ მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამა ფოკუსირებულია სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღებისკენ, ასევე, გარკვეული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებისკენ. ამ მიზნით უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა იურიდიულ პირთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც დამამთავრებელი კურსის სტუდენტები გადიან სტაჟირებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი არის ორგანიზებული და დაგეგმილი მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის გავლის დროს ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვისას სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. თუმცა ინტერვიუდან დგინდება, რომ არსებობს პრაქტიკულ კომპონენტზე უფრო მეტი მუშაობის საჭიროება. ეს პროგრამას დახვეწს, ბაკალავრს კი გახდის შრომის ბაზარზე უფრო მეტად კონკურენტუნარიანს.

ამასთან, სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2018-2019 სასწავლო წლიდან და სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთ კრიტერიუმად აისახა სტუდენტის აქტივობა შესაბამისი კუთხით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი აცხადებს საგრანტო კონკურსებს სტუდენტთა ინიციატივებისთვის, რითაც გამოხატავს სტუდენტთა წამოწყებების მიმართ მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან,

<p><i>კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან);</i></p> <ul style="list-style-type: none"> ○ <i>მემორანდუმები/ხელშეკრულებები;</i> ○ <i>სტუდენტური კონფერენციები.</i>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკულ კომპონენტზე მეტი აქცენტების გაკეთება სწავლის შედეგების სრულად მისაღწევად.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში ბაკალავრიატის სტუდენტთა ჩართვისთვის მეტი რესურსის ჩადება; • პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობის გაგრძელება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ არსებობა აკადემიური წერის მინიმალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და საბაკალავრო ნაშრომებზე გადასასვლელად ნიადაგის მომზადების მიზნით.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა მთლიანობაში ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. თვითშეფასების ანგარიშიდან დგინდება, რომ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოიყენება ინტერაქტიული სწავლების თანამედროვე მეთოდები.</p>

პროგრამაში ასახულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი. ამასთან, როგორც თვითმეფასების ანგარიშიდან დგინდება, სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების ფორმები: ლექცია, ლაბორატორიული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა: ვერბალური მეთოდი, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრეზენტაცია. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები მთლიანობაში შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. გამოკვეთილია, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის („საინჟინრო მათემატიკა1“, „საინჟინრო მათემატიკა2“, „საინჟინრო მათემატიკა 3“) ფარგლებში დგინდება სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლებობა, კერძოდ, სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ ვერბალური, წერითი და წიგნზე მუშაობის მეთოდები. სტუდენტთა აქტივობაც, შუალედური და ფინალური გამოცდებიც მხოლოდ წერითი დავალებების გზით ფასდება. სასწავლო პროცესშიც იგრძნობა მეთოდთა მრავალფეროვნების გამოყენების აუცილებლობა.

ამასთან, იკვეთება, რომ ზოგიერთ საგანში, როგორცაა „თეორიული მექანიკა“ აქტივობის ორი ფორმაა გამოყენებული: პრაქტიკული მუშაობა, რომელიც ფასდება 15 ქულით და სამი საანგარიშო ამოცანის შესრულება (ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით). არის სტუდენტთა აქტივობებით უფრო მეტად დატვირთვის საჭიროება.

ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დასაზუსტებელია სწავლება-სწავლის მეთოდთა დასახელება. მაგალითად, სასწავლო კურსების „გერმანული A2.1“, „გერმანული B1.1“ და სხვა უცხო ენების სილაბუსებში მითითებულია, რომ შემაჯამებელი გამოცდის დროს შესასრულებელ დავალებათაგან ერთ-ერთია „დავალებაზე ორიენტირებული წერითი სამუშაო“. არადა სასწავლო პროცესში შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაო დავალებაზეა ორიენტირებული. აუცილებელია შემაჯამებელი გამოცდის შემადგენელი ნაწილების უფრო ნათლად და კონკრეტულად მითითება. ამასთან, „გერმანული A2.1“-ის სასწავლო კურსის სილაბუსში არ გვხვდება აუდიო და ვიდეოჩანაწერთა გამოყენება, თუმცა შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებში წერია „მოსმენილი მასალის გაგების შემოწმება“. აუდიო და ვიდეოჩანაწერის გარეშე, ცხადია, ეს ვერ მიიღწევა.

სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ სილაბუსში ფიქსირდება სწავლება-სწავლის მეთოდთაგან „კვლევითი ჯგუფი“, მისი შინაარსი კი ბუნდოვანია.

საგნის „შესავალი სპეციალობაში“ მითითებულია მეთოდები „საქმიანი თამაშები“, „ჯგუფური განხილვები“ და „პრაქტიკული სიტუაციის გარჩევები“. ინტერვიუდან დადგინდა, რომ აქ მოიაზრება მეთოდები, როგორცაა: როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი. ამასთან, სასწავლო კურსის „შესავალი

სპეციალობაში“ სილაბუსიდან ჩანს, რომ თუ ლექცია აიხსნება, შემდეგ კვირას პრაქტიკულ სამუშაოში არაა გათვალისწინებული წინა ლექციაზე ახსნილი საკითხი და ფაქტობრივად როგორც ლექციაზე, ისე პრაქტიკულზე სხვადასხვა პრობლემის ირგვლივ ხდება მსჯელობა (სტუდენტთა აქტივობებზე ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული). მართალია, ამ საგნის სილაბუსით რამდენიმე მეთოდია გამოყენებული, მაგრამ აქტივობებით ეს არ დგინდება, რადგან სულ შემოიფარგლება ორი ტიპის აქტივობით: (ა) 1 პროექტის პრეზენტაცია ან შესრულებული სამუშაო (მაქსიმუმ 15 ქულა) და (ბ) 1 რეფერატი (15 ქულა). ასევე, ერთ-ერთი სასწავლო კურსის „მასალათა გამძლეობა“ სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია, მაგრამ, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, არარელევანტურად გამოიყურება სილაბუსით მითითებული მეთოდი „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, დარგის სპეციფიკისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შეფასების ფორმებისა და აქტივობების გაზრდა ზოგიერთ საგანში;
- უშუალოდ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) მეტი ყურადღების გამახვილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლება-სწავლის მეთოდების დასათაურებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება-დაზუსტება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბაკალავრიატის სტუდენტების შეფასება ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანია. თითოეული სასწავლო კურსის სფეციფიკიდან გამომდინარე ხდება შეფასების ფორმების დადგენა. სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების სისტემის მექანიზმის შესახებ. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ასევე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ამ უწყისის დახმარებით დაუკავშირდეს ლექტორს და მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ასევე მას შეუძლია მიღებული შედეგის გასაჩივრებაც. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • გამოკითხვის შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/; • ინტერვიუს შედეგები; • უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (დანართი 4-EP-QA 1.1.); • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №785 ბრძანება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №3 ბრძანება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანება.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის სტუდენტები დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებსა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციებს. შესაბამისი სამსახურები და პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. შედეგად სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა კომპანიების სამუშაოებში. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და ასევე სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად შეათანხმოს საკონსულტაციო საათები ლექტორებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,	<input checked="" type="checkbox"/>			

მათთან ინდივიდუალური მიმართება				
--------------------------------------	--	--	--	--

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა – 32 (მათ შორის ენათა ცენტრის მასწავლებლები).

- აკადემიური პერსონალი - 29. მათ შორის - 5 პროფესორი და 24 ასოცირებული პროფესორი. ასისტენტ პროფესორი - 0; ასისტენტი - 0.
- სამეცნიერო პერსონალი - 0.
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 29. მათ შორის აფილირებული პროფესორი - 5; აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 24;
- სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი - 9.

მოქმედი პროგრამის შემთხვევაში თანაფარდობები ნაწილდება შემდეგი წილობრივი მაჩვენებლებით:

-აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 29:169

-აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 32:169

-აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 29:9
ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი - 0 %.

ბოლო 5 წლის განმავლობაში მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი - 0. საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018 წ).

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ პირობებს:

1. ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა (აწსუ რექტორის №01-04/44 ბრძანება. 06.07.2017 წ).
2. აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა (18-23 საათი).
3. ასოცირებული პროფესორების საშუალო კვირეული დატვირთვა (8-10 საათი).

დოკუმენტში განმარტებულია, რომ ასოცირებული პროფესორები შეადგენენ დაწესებულების უმრავლესობას და გაანგარიშების წარმოების დროს გაითვალისწინება მხოლოდ მათი ოდენობა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რჩევა - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს პროფესორისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის პირობები.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირადი საქმეები. ასევე, ინტერვიურება განხორციელდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა შეფასებით, „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ყავს ხელმძღვანელი. ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიურებით უდასტურდება პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები“.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აღნიშნული პერსონალი დასაქმებულნი არიან საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებში, კომპიუტერულ ცენტრებში და დეკანატში. დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი გაწერილია აწსუ-ს საინჟინრო - ტექნიკური ფაკულტეტის დებულებაში (წარმომადგენლობითი საბჭოს № 155 დადგენილება, 28.02.2018 წ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- აწსუ-ს საინჟინრო - ტექნიკური ფაკულტეტის დებულება (წარმომადგენლობითი საბჭოს № 155 დადგენილება, 28.02.2018 წ).

- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები“ (დანართი 2-EP-QA1.1).
- „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018 წ).
- თვითშეფასება.
- ინტერვიუება დაწესებულების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, მკაფიოდ გაიწეროს პროფესორისა და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის განსაზღვრის პირობების შესახებ ინფორმაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინტერვიუებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერსონალის შეფასება უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სასწავლო წლის ფარგლებში, აკადემიური და მოწვეული

პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე ამოწმებს აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს და აღრიცხავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე რეგულარულად წარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვების გზით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“.

უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში“ გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნები. ამ მიზნებისათვის აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლელებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

დოკუმენტის კვლევის განვითარების პოლიტიკის ნაწილში გაწერილია, რომ ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია პროგრამების წარმატებით განსახორციელებლად. აწსუ-ს კვლევის განვითარების პოლიტიკა ეფუძნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფაზებს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განკუთვნილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე მუშაობის შემდეგი სახეების შეფასებისთვის - აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოები; გარე სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებული კვლევა; შიდა დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პერსონალის პროფესიულ განვითარების მიზნით, ხორციელდება სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი ღონისძიებების დაგეგმვა. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკა მიმართულია - სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესის ინტეგრირების უზრუნველყოფაზე; ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფაზე; საგამომცემლო საქმიანობის, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოქვეყნების

ხელშეწყობაზე; საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელის შეწყობაზე; საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“. დოკუმენტის მე-6 პუნქტში გაწერილია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა. განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;
- აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება;
- უცხოელი პროფესორის მოწვევა;
- ახალგაზრდა კადრების ხელშეწყობა კვლევებში ჩართვისა და აკადემიური წინსვლისათვის.

ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესრულებულია 5 საგრანტო პროექტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ახდენს ჩატარებული კვლევის შედეგების პოპულარიზაციას. საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილია მოხსენებები. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფაკულტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. წარმოდგენილია კონფერენციების ჩამონათვალი, სადაც მიიღეს მონაწილეობა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. ასევე, წლების მიხედვით განსაზღვრულია მათი მონაწილეობა სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებზე. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, მნიშვნელოვანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაზე ზრუნვა. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას დაწესებულებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

თუმცა აქვე გვინა ავლნიშნოთ რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-დან დგინდება, რომ მათ გარკვეულ ნაწილს 2015, 2016, 2017 წლის შემდეგ არ უფიქსირდებათ სამეცნიერო ნაშრომები. იკვეთება უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო პროდუქტიულობის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა.

- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.
- საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- თვითშეფასება.
- ინტერვიურება.
- პერსონალის პირადი საქმე. ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელის დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლებასა და შენარჩუნებას, ისე შეფასების თანამედროვე მეთოდებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგების გაგრძელებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში, „მშენებლობისა და ტრანსპორტის“ დეპარტამენტის სასწავლო-საწარმოო და კვლევით ლაბორატორიებში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო დაესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა შემდეგი გარემო:

- ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.
- კომპიუტერული ცენტრები.
- ფაკულტეტის ლაბორატორიები:

- შედუღების ლაბორატორიები.
- ჰიდროტექნიკური ლაბორატორია.
- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ლაბორატორია.
- გეოდეზიის ლაბორატორია.
- სამშენებლო მანქანების ლაბორატორია.
- უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კაბინეტ-ლაბორატორიები.
 - გარემოს დაცვის ლაბორატორია.
 - ქიმიის ლაბორატორია.
 - ელტექნიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია.

აღნიშნული ლაბორატორიები აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც საჭიროა სილაბუსებში მითითებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად.

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის განყოფილება <https://library.atstu.edu.ge/structure.html>, სადაც მოცემულია ჩამოსაშლელი მენიუ - სიახლეების, ახალი გამოცემების, ნორმატიული აქტების, ბიბლიოთეკათმორისი სერვისების, გზამკვლევის, წიგნების ელექტრონული შეკვეთის შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის სტრუქტურა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC), სადაც ასახულია სახელმძღვანელოები, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პროგრამებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის - წიგნსაცავის, მომსახურების, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება; დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება; საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება; კატალოგიზაციის განყოფილება; ბიბლიოთეკის განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებული სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (დადგენილება №158; 2018 წლის 28 თებერვალი). დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქცია - მოვალეობები, ბიბლიოთეკის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის პერსონალი და სხვ. ელექტრო რესურსების განყოფილებაში მოცემულია სამეცნიერო ბაზების, ინგლისურ - ქართული და სპეცლექსიკონების, ელექტრო ბიბლიოთეკისა და სასარგებლო ბმულების მენიუ. ასევე განთავსებულია ელ. კატალოგი. ასევე სამეცნიერო ჟურნალების გაცნობა. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები 9:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე.

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსი. მათი შეფასებით დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი რომლებიც ჩართულია საერთაშორისო საძიებელ სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სფეროს ინსტიტუციებთან. პროგრამის პროფილის შესაბამისად უნივერსიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 17 ორგანიზაციასთან, მათ შორის უცხოურ უნივერსიტეტებთან.

ინტერვიურება განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი არის გაფორმებული შემდეგ დარგობრივ საწარმოებთან:

- ა) სამშენებლო კომპანია შპს „დაგი“;
- ბ) სამშენებლო კომპანია შპს „გზამშენი“;
- გ) სამშენებლო კომპანია შპს „აკორდი“;
- დ) სამშენებლო კომპანია შპს „საქმილსადენმშენი“;
- ე) სამშენებლო კომპანია შპს „ტობე“.

ინტერვიურებისას კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები.
- თვითშეფასება.
- ბიბლიოთეკის დებულება (დადგენილება №158; 2018 წლის 28 თებერვალი).
- <https://library.atsu.edu.ge/structure.html>
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები.
- ინტერვიურება.
- ვიზუალური დათვალიერება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსებში გაწერილი სასწავლო რესურსი და ზოგიერთი მათგანი ჩანაცვლდეს უახლესი ლიტერატურით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას განახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური ახორციელებს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშებას. პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საჭირო ხარჯები როგორც მასალებისათვის, ასევე პროგრამაში ჩართულ სხვა ორგანიზაციებში პრაქტიკების ჩატარების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია ანგარიშვალდებულების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. რომელიც უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს საბიუჯეტო კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია ანგარიშვალდებულების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. დაგეგმილი უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს საბიუჯეტო კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური ყოველკვარტალური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დაგეგმილი შემოსავლის მიღების მიზნით ახორციელებს ადმინისტრირების ღონისძიებებს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწესი წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არის სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემა, რომელიც ხელმძღვანელობს კანონმდებლობით და ეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც აერთიანებს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები მოიცავს რამდენიმე საფეხურს და უკავშირდება პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, აკადემიური პერსონალის, კურიკულუმისა და ა.შ. მონიტორინგის პროცესს. პროგრამის

თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართულია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. როგორც ინტერვიუდან დადგინდა, უნივერსიტეტში ცოდნის ხარისხი მოწმდება და მონიტორინგი ხორციელდება ლექტორთა მიერ ლექცია-სემინარებზე ურთიერთდასწრების გზით.

ამავე დროს, პროგრამა შემუშავებულია დარგობრივი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით და განხილულ იქნა დეპარტამენტის სხდომაზე. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება-განვითარება ხდება გარე შეფასებისა (ავტორიზაცია, აკრედიტაცია, საექსპერტო მონიტორინგი და სხვა თანამშრომლობა) და მხარდაჭერის (Erasmus+ პროექტების, სხვადასხვა ფონდების დახმარებით განხორციელებული პროექტების, მოწვეული ექსპერტების, ვიზიტებისა და ტრენინგების) საშუალებით. უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, ხოლო პროგრამის განვითარება ხდება შიდა და გარე შეფასების პროცედურის ინტეგრირების გზით, რათა გაუმჯობესდეს და მიღწევადი იყოს დაგეგმილი სწავლის შედეგები პრინციპით: სწავლებისა და კვლევის თავისუფლება არის ძირითადი აკადემიური ღირებულება, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობით, კონკურენტუნარიანობის მიღწევითა და დასაქმების პერსპექტივით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემუშავდა და დამტკიცდა დოკუმენტი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 09. 02. 2018), რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. ამ დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს ხარისხის მართვის სისტემასა და მის ორგანიზებას, შესაბამის პროცედურებს, სასწავლო და კვლევით პროცესში უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის პროცედურას, სწავლების ეთიკურ პრინციპებს, პლაგიატის გამოვლინებასა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის პროცედურას, სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურას, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების პროცედურას, ხარისხის სისტემის შიდა აუდიტის პროცედურას და სხვა. ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება (ა) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის, (ბ) კვლევის განვითარებისა და (გ) მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკას.

ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც განიხილება შესაბამის პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტში, ფაკულტეტზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

შიდა ექსპერტმა გამოთქვა შენიშვნები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით; შენიშვნები უკავშირდებოდა კურიკულუმის არასრულად წარმოდგენას, სასწავლო გეგმასა და სასწავლო კურსების სილაბუსებს. მაგალითად პროგრამის შემუშავების პროცესში გაცემული რეკომენდაცია რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოფილიყო ჩანაწერი,

სილაბუსის სტუდენტებისთვის გაცნობის შესახებ, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია მხოლოდ ნაწილობრივ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილებით N05/01-20, 20.04.2012);
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018 საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- განხორციელებული შეფასების შედეგები;
- შიდა ექსპერტის შეფასება;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

რეკომენდაციები:

- პროგრამის დახვეწის მიზნით შიდა ხარისხის შემოწმებისას გამოთქმული ტექნიკური და შინაარსობრივი რეკომენდაციების გათვალისწინება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აკადემიური პერსონალის მიმართ წამახალისებელი ღონისძიებების, მათ შორის ფულადი ჯილდოს არსებობა ნაყოფიერი აკადემიური საქმიანობისთვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 16.09.2011 განხორციელდა მშენებლობის საბაკალვრო პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილება №24), რომლის ფარგლებშიც გაიცა გარე შეფასების ორი რეკომენდაცია: (ა) სასწავლო კურსის დასახელება „გეოლოგია და ფუძე-სადირკვლები“ შეიცვალოს „საინჟინრო გეოლოგია და ფუძე-სადირკვლებით“; (ბ) ეტაპობრივად, შეძლებისდაგვარად განახლდეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საბოლოოდ ეს რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. ამ მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოში მოქმედ აკრედიტირებულ უნივერსიტეტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია როგორც თავად შეფასების პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილება, ასევე შეფასების შედეგები, რომელთა გათვალისწინებით დაისახება მოქმედი პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები.

დგინდება, რომ გარე ექსპერტის დასკვნაში გამოითქვა ტერმინოლოგიური თუ ტექნიკური ხასიათის შენიშვნები: სასწავლო კურსის „სამშენებლო კონსტრუქციები1“ სილაბუსში ტერმინი „ლითონური მასალების“ ნაცვლად, უნდა იყოს „მასალები ლითონის კონსტრუქციებისათვის“; საგნის „სამშენებლო კონსტრუქციები1“ სილაბუსში V ლექციის თემა, ნაცვლად „დატვირთვები და მათი ზემოქმედებები“-სა, უნდა იყოს „დატვირთვები და ზემოქმედებები“; სასწავლო კურსის „სამშენებლო მექანიკა1“ სილაბუსში სალექციო თემის სიტყვებს შორის არ არის ინტერვალები და გასასწორებელია.

ასევე, დასკვნაში გამოითქვა გარკვეული შინაარსობრივი შენიშვნებიც: სასწავლო კურსის „რკინაბეტონის კონსტრუქციები - 2(რკინაბეტონის კონსტრუქციები)“ სილაბუსში VI ლექციის თემა არის „რკინაბეტონის ელემენტების გაანგარიშება და ღუნვადი ელემენტები“, არადა საკითხი მოიცავს ცალფარმატურიანი და ორფარმატურიანი კვთების განგარიშებას, რისი მოსწრებაც ერთ სალექციო საათში შეუძლებელია; ამასთან, „რკინაბეტონის კონსტრუქციები - 2(რკინაბეტონის კონსტრუქციები)“ სილაბუსში XII პრაქტიკული მეცადინეობის თემა „რკინაბეტონის კონსტრუქციები შენობებისათვის. დაპროექტების პრაქტიკული ამოცანის ამოხსნა“, ერთი პრაქტიკული მეცადინეობისათვის არარეალურად გამოიყურება და სასურველია, ავტორმა დააკონკრეტოს, რას აპროექტებს; ასევე, ამავე საგნის პირველი ოთხი პრაქტიკული მეცადინეობა უმჯობესია, დაეთმოს პრაქტიკული ამოცანების განხილვას და არა თეორიული მასალის განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ეს შენიშვნები თვითშეფასების ჯგუფმა გაითვალისწინა და შესაბამისი ცვლილებები ასახა კიდევ პროგრამაში.

ირკვევა, რომ პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზებს წარმოდგენილ რეკომენდაციებს, ანალიზებს მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მმართველ რგოლთან ერთად და შეიმუშავებს გეგმა-გრაფიკს, რათა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამაზე გარე ექსპერტიზის დასკვნა;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით (EP-QA 1.3). აღნიშნული პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

შეფასების, განახლებისა და განვითარებისთვის.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის პერიოდული შეფასების კონცეფცია, რომელიც არის ინფორმაციის სისტემური შეგროვებისა და დამუშავების ფართოდ მომცველი დოკუმენტი. ამ კონცეფციის თანახმად ივსება სპეციალური კითხვარები სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და ასევე პრაქტიკის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ. მრავალმხრივი გამოკითხვების შემდეგ მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

მონიტორინგის მონაცემების გაანალიზებისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის განმახორციელებელი პირები მუდმივად ზრუნავენ საგანმანათლებლო პროგრამის განახლებასა და მოდიფიცირებაზე.

შეიცვალა უცხო ენების სასწავლო კურსების სილაბუსები, თუმცა არ შეცვლილა მათი სტრუქტურა. სასწავლო გეგმის კრედიტების ოპტიმიზაციის შედეგად სასწავლო გეგმაში აისახა დამსაქმებელთა მოსაზრებები, კერძოდ სასწავლო კურსის „გეოდეზია“ გახდა 7 კრედიტი, ხოლო საგნის „არქიტექტურა“ - 3 კრედიტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“;
- EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია-დანართი N3;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი-დანართი N4;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროფესორ-მასწავლებელთა გრადაციის განსაზღვრა, მათი კატეგორიების, უფლებამოსილებების, სამეცნიერო აქტივობებისა და შრომითი ურთიერთობების ინდივიდუალური ხასიათის გათვალისწინებით;
- კარგი იქნება, შიდა კვლევების ანალიზი პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავებისთვის.
- დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობების ფარგლებში გაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობის მეტი უზრუნველყოფა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
მშენებლობა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვახტანგ ბალავაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ირმა ღარიბაშვილი ი. ღარიბაშვილი

მიხეილ ბიჭია



ირაკლი ნოდია

